საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/9 " 2 " მარტი 2021 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფო ქონების სარგებლობის უფლებით მიღებაზე სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულმა სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა 2021 წლის 22 თებერვლის №06-1412 წერილით მომართა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. წერილში აღნიშნულია, რომ დაგეგმილია თბილისის სააპელაციო სასამართლოსათვის გადმოცემული შენობის სრული რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია ავტოფარეხში ჩასვლის მიზნით კორნელი ჩალაძის ქუჩის მხრიდან ავტომობილების შესასვლელის მოწყობა. სარეაბილიტაციო შენობის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია ორი მიწის ნაკვეთი, თითოეული 6 კვ.მ.-ის ოდენობით (ს/კ 01.13.04.008.004 და ს/კ 01.13.04.008.005), რომლის გასხვისება ან/და სხვა ორგანიზაციისთვის გადაცემა შეაფერხებს პროექტის სრულყოფილად განხორციელების პროცესს. აღნიშნულის გათვალისწინებით, სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტი ითხოვს თანხმობის მიცემას არსებული ნაკვეთების დეპარტამენტისათვის სარგებლობაში გადმოსაცემად საჭირო ღონისძიებების განხორციელებაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე, თანხმობა მიეცეს სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები ზემოაღნიშნული ნაკვეთების სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის არსებობის ვადით, უსასყიდლოდ, სარგებლობაში გადმოსაცემად.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი